ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (მონტაჟი)

N4

ქ. თელავი 20 იანვარი 2020 წ

,ა(ა)იპ გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება (შემდგომში ,,დამკვეთად" წოდებული), მისი დირექტორის ***სალომე ბოგვერაძეს*** სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში ,,დაცვად" წოდებული), მისი უფროსის ***მირიან ბაიდოშვილის*** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.,,შემსრულებელი" უზრუნველყოფს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებას ა(ა)იპ გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების სამკითხველო და საცავებში, ადმინსტრაციის და საცავებში, რომელიც მდეობარეობს მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N2-ში.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი და პირობები

2.1.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **193,00** (ასოთხმოცდაცამეტი ლარი) ლარს, დ.ღ.გ-ს ჩათვლით (დანართი 1).
2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული თანხის გადახდის შემდეგ დანართი N1-ში მოცემული მასალები გადადის,,დამკვეთის" საკუთრებაში.
2.3. დაცვის მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურით უზრუნველყოფს შსს სსიპ-დპდ კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

3.1 ,,შემსრულებელი" ვალდებულია:

3.1.1. შეასრულოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით.
3.1.2. უზრუნველყოს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულება.
3.1.3. გააცნოს ,,დამკვეთს" დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლოატაციის ინსტრუქცია.
3.1.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამუშაოების დასრულების დღიდან საგარანტიო ექვსი თვის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, თუ ისინი გამოწვეული არ არის ,,დამკვეთის" მიერ არასწორი ექსპლოატაციით.
3.1.5 შემსრულებელმა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, დაიწყოს სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების წარმოება.

3.2. ,,დამკვეთი" ვალდებულია :

3.2.1. უზრუნველყოს ,,შემსრულებელი" სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი პირობებით.
3.2.2. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო ხელშეკრულების დანართი N 1-ით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა უზრუნველყოს ,,შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე.
3.2.3. უზრუნველყოს დამონტაჟებული სიგნალიზაციის ექსპლოატაციის წესების დაცვა.

3.2.4. არ დაუშვას საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელის გარეშე.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სამონტაჟო მასალების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N 1).
6.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6.3. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხემით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ,,დამკვეთთან", ხოლო ერთი ,,შემსრულებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,დაცვა"	,,დამკვეთი"
შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დპ სამმართველო; ს/კ 211350928; სახელმწიფო ხაზინა კოდი: 707117046; TRESGE22; მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; ქ. თელავი. ჩოხელის ქ. N 35; სამმართველოს უფროსი Mirian Baidoshvili Digitally signed by Mirian Baidoshvili Date: 2020.01.20 16:55:23 +04'00' მ. ბაიდოშვილი	ა(ა)იპ გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება; ს/კ 427723145; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ .N13; ტელ: 577540480; Gurjaani Libraries and Museums Union Digitally signed by Gurjaani Libraries and Museums Union Date: 2020.01.20 16:10:02 +04'00' დირექტორი ს. ბოგვერაძე